

რედაქცია

მოღონის (აბას-ბატის) მედნაზე, შორლანოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. შალაქს ვარეშე მცხოვრებთათვის: Въ Типографіи. Въ редакцію газеты „Дროება“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. სალკე ნომერი — ერთი შაური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სტრუქტურულს და სხვა ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ., პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ ხტატიებსა და დაუბეჭდელი ხტატი ავტორს არ დაუბრუნდება.

დროება

გამოდის კვირარაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

ხელის-მოწერა ამ წლის „დროებაზე“

ახლაც შეიძლება. ახალი ხელის-მოწერა, თუ ისურვებენ, თავი-დამ მიიღებენ ყველა ამ წლის ნომერებს, რაც გამოსულა; შეიძლება აგრეთვე რომელიმე თვიდამ დაიბარონ გაზეთი.

დაწერილობითი პირობები გაზეთის სათაურშია.

შამოხილვად ვსთხოვთ იმ ჩვენს ხელის-მოწერალებს, რომელთაც უარსაღებელი ანუ წლები-ვანდელი გაზეთის ფული ჯერ არ შემოუბრუნებიათ, რაც შეიძლება ვალე შემოიტანონ.

საქართველო

ზოგიერთი თავმოყვარეობა

ჩვენი დროების ქართველებს ბევრი ისეთი საზოგადო საქმეები არ გამოგვიწყია და არ შეგვიხსურებია, რომ ჩვენ წინაპრებთან ანუ მოძველებულ შთამომავლობასთან დაკავშირება და თავის გამოჩენა შეგვეძლოს.

ჩვენში ეხლა ყველა თავის კუთხეში მიიჯდარა, თავის საკუთარს საქმეებს გარდა, სხვას არას დასდევს დედა-მამაზე, თავის თავს იქით არ იყურება. საზოგადო საქმეები, საზოგადო მოვალეობა არ გვესმის. ჩვენი ცხოვრება კერძო და განცალკევებული ინტერესების ძებნად გადაქცეულა...

ჩვენი ინტერესების ძებნად გადაქცეულა...

მხოლოდ იშვიათად, ათასში ერთხელ ისეთი პირები ჩნდებიან, რომელნიც თითქოს იჩინენ სურვილს, რომ რომელსამე საზოგადო საქმეს ხელი მოჰქიდონ და ცოტა რითიმე დაეხმარონ.

ხანდისხან ამ საზოგადო საქმისათვის ორი-სამი და მეტიც გროვდება; გული ხარობს, როცა ჰხედავთ, რომ ამით ძმურად, ამხანაგურად მიჰყავთ ეს საქმე, და იმედი გეძლევათ, რომ ესენი ამ საქმეს, უეჭველია, ფეხზე დააყენებენო. თქვენ ჰფიქრობთ: „აჰ, რამდენიმე პირი, რომელთაც ძმურად მოუკიდნიათ საზოგადო საქმისთვის ხელი. თუშეცა ყველა ამით თავიანთი განსაკუთრებული ინტერესები აქვთ, მაგრამ ეს საქმე ისე პატარაა, ისეთს მცირეს შრომასა და მსხვერპლს თხოვლობს, რომ, უეჭველია, ესენი ადვილად შეასრულებენ!“

მაგრამ უეცრად სურათი იცვლება! მუშინდელი მეგობრები, გუშინ ერთი რომლისამე საზოგადო საქმის მიმდევარნი, დღეს ერთმანეთის მოსისხლე მტრებად გადაქცეულან! მუშინ რომ რამდენიმე პირნი ერთად ერთს საქმეს ადგენენ, დღეს ორი ან სამი იმათში ამ საქმეს სრულებით გულ-გრილად უყურებენ ან კიდევ ეწინააღმდეგებიან.

მართი რამ სრულებით უბრალო შემთხვევა საკმაოა, რომ ამისთანა მტრობა და განხეთქილება ჩამოგდოს ამხანაგობაში. მათქვამ, ამხანაგობის ანუ საქმის ერთად წამყვანთა

წევრმა მეორეს შენიშნა, რომ ეს და ეს საქმე შენ რიგიანათ ვერ შეასრულებ, აი ასე უნდა გაგეკეთებინაო. შენიშვნის მიმღები იმწამსვე ყალბზე დგება: — როგორ თუ რიგიანათ ვერ შევასრულებ? მაშ მე, თქვენის აზრით, გამოსადეგი არა ვარ ამ საქმეში, განა? მაშ სხვები მჯობიან! ძარგი, რაღაც ასეა, მშვიდობით: მე თქვენთან საერთო აღარა მაქვს რა! — ბაცხარებით წამოიძახებს და ეთხოვება, არა თუ მარტო ამხანაგებს, საზოგადო საქმესაც; გადგება განზე და მოახლოურად იწყებს სხვების მოქმედების და თვით იმ საზოგადო საქმის განკიცხვას, რომლისთვისაც ის ადრე ამდენ გულმხურვალეობას იჩენდა.

წერილობანი თავმოყვარეობა გელუპავს ჩვენ! შეველა, ვინც კი საზოგადო ჩხირის გადაბრუნებას დასდგომია, მთელი ხალხისაგან თავიანთს ცემას თხოვლობს! მისაც სულ უკანასკნელი მცირე საქმისთვის აქვს ხელი მოკიდებული, თუ კი ამ საქმეს რაიმე საზოგადო მნიშვნელობა აქვს, ახლოს ნუ მიეკარებიან! შეცდომის ან ნაკლულევიანების შენიშვნა არ გაბედოთ! მთელი ქვეყანა მადლობასა და აღტაცებას უნდა უცხადებდეთ, თორემ, იცოდეთ, თვალეში გახლისთ ამ თქვენს საზოგადო საქმეს!

სწორეთ ძნელია, ძალიან ძნელია ამისთანა კაცებთან რომლისამე საქმის დაქვარაახლა, როდესაც არცერთი საზოგადო საქმის მიმდევარი ღირსეულად დაფასებას და თანაგრძობას არ უნდა მოელოდეს ჩვენის საზოგადოებისაგან.

ჩვენში ყოველი კაცი თვითონვე უნდა იყოს თავის გამამხნეველი, აღმძვრელი და წამოქმედებელი ყოველს კეთილს, საზოგადო საქმეში. თანაგრძობას თითქმის არსაიღამ არ უნდა მოელოდეს.

და იმისთანა კაცი, რომელიც ყოველთვის ცაში აყვანას, ტაშის კერას, დაჯილდოებას და თავიანთ-სემას მოელოს, საზოგადო საქმეს სულაც რომ არ ჰკიდებდეს ხელს, უკეთესი იქნება...

ს. მესხი

დღიური

ჩვენ მოგვივიდა სოფლებიდან რამდენიმე წერილი, რომელშიაც გვეკითხავენ, თუ როგორ შეიძლება ძველი ქალაქის ფულების ახლებზე დაცვა. თუშეცა ეს რამდენჯერმე იყო გაზეთში გამოცხადებული, მაგრამ საჭიროთ ვერცხთ კიდევ გამოვაცხადოთ. აი როგორ შეიძლება.

შინანსთ მინისტრის ანუ სახელმწიფო ბანკის სახელობაზე უნდა დაიწეროს თხოვნა, რომ ამა და ამ ღირსების ქალაქის ფული ძველის ფორმისა იგზავნება და გთხოვთ, განკარგულება მოახდინოთ, რომ ეს ბილეთები ახლებზე დაგვიცვალოთ. ეს თხოვნა, ძველი ქალაქის ფულით, პეტერბურგში უნდა გაიგზავნოს. თხოვნაში გამოგზავნის ადრესია საჭირო. (თხოვნა, რასაკვირველია, რუსულს ენაზე უნდა იყოს დაწერილი). შინანსთ მინისტრი ან სახელმწიფო ბანკი მოიწერება აქ

ფელტონი

ძალი რომელი თვაი?

მინ არის ის სულდგმული, რომელიც გულ-გრილად გამოსთქვამს სიტყვას: მისის ღამე?

შეხედეთ ამ ლაყვარდოვანს, მოწმენდილს და მოკაშკაშე ვარსკვლავებით მოქედილს ცას! როგორ ამევენებს ზედ ნაზად და დედოფლოურად მომცურავი, თხუთმეტი დღის მთვარე!...

ღანეთ ქვეყანასაც, თითქოს ზეცას ეჯიბრებოდეს: მიწყნარებულა და ყურს უგდებს თავის ძლიერებას. ამოღა გრილი ნიავი დედა-შვილურის აღერსით უბერავს არე-მარეს! მისგან შეჩხვული ფოთლები თითქოს რაღაც საიდუმლოს ხმით ჩურჩულებენო; ბიბინობს მდელი; ყვავილებიც,

თითქოს ნიშნად სიამოვნებისა, თავს აქეთ-იქით ჰხრიანო და მათგან ამონაფშვენს სუნენლებას, იტაცებს რა ისივ ნიავი, უხვად ჰფანტავს იმ არემარეში, რომ მით ჰაერი კეთილად შეაზავოს!

ჩუ!.. მს რა ხმა არის უცნაური და გულის გამსქვალავი? მს არის ბუღბუღი — სიხარულის მოციქული, ცისა და მიწის შუამავალი. რა რიგათა სტვენს! აქვენსდა, აჭიკჭიკდა, უმატა გალობას, აუზია თან-და-თან ანგებს, მალა მიჰყავს ხმა, თითქო უნდოდეს, რომ ცაში მიაწვდინოს და აცნობოს მას ქვეყნის მშვენიერებას!.. აი, ისე დაუშვა ხმა... ჩამოჰყავს დაბლა ტკბილად და წყნარად. მხლა კი, მგონი, ცის სიტურფის ამბავი ქვეყნად უნდა ჩამოიტანოს!

მიშ! მიშ ამ ნეტარ... მხ! ეს რა

დროსია! აკი ვირმაც დაიყოყინა!.. დიდება შენს საკვირველებას, ყოველის შემოქმედო, რომ საღაც ბუღბუღი გაგიჩინა, იქ ვირისთვისაც ბინა მიგიცი! მაგრამ კიდევ დიდება შენდა, რომ ძალა კი ორივესათვის სხვა და სხვა მიგინიჭებია: ვირმა დაიყოყინა ერთი, ორი და დაჩუმდა; მეტი აღარ შეუძლია, და ბუღბუღმა კი დაუღალავად, დაუტყობელად განაგრძო თავისი გალობა!...

მხ, რა ძლიერებით შეუზავებია ამ საღამოს ბუნებას თავისი აქა-იქ მიფანტული სიტყვობა და საგრძობლად შეუთანხმებია თავის ძლიერის ჩანგის სიმები!

აი, ეს არის დრო ნეტარებისა და წამითი სიყვარულისა, ამ დროს კი გჯეროდესთ ყველას წამითი მეგობრობა, და გრწამდესთ ხან-მოკლე სიყვარულიც.

სწორეთ ამისთანა დროს, ერთხელ

მთვარიან ღამეში, ისხდნენ ერთად მოხუცებული, ვაჟკაცი და ახალგაზდა ჯაბუკი.

მოხუცი გულ-დაწყვეტილის ღიმილით იგონებდა წარსულ დროს და თანაც საიქოზე იმედოვნებდა. ვაჟკაცი მომავალზედ ლაპარაკობდა, და ჯაბუკი აწყყოს სჯერდებოდა და მით კმაყოფილიც იყო.

ამგვარად, იმათ საუბარი არ ემართებოდათ, სანამ არ გადავიდნენ ქალაქზედ და იკითხეს თუ: — ქალი რა არისო?

— ძალი? ლამაზი ქალი? მხ! წამოიძახა აღტაცებით ჯაბუკმა.

— ძალი? ლამაზი ქალი? მხ! სთქვა საგულისხმოდ ვაჟკაცმა.

— ძალი? ლამაზი ქალი? ხე! ხე! ხე! ხე! ჩაიცნა მოხუცმა.

ამის მეტი აღარა სთქვს რა. შეხედეს ერთმანეთს და გაჩუმდნენ.

სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში (თფილისში) და სხვაგან გუბერნიის ხაზინებში, რომ ამა და ამ კაცს ამდენი ახალი ქალაქის ფული მიეცითო; მივა პატრონი და მიიღებს. ეს მიწერ-მოწერა ერთ თვეს ან თვე ნახევარს გასწევს.

□ წუხანდელი სალიტერატურო და მუზიკალური საღამო ერთი იმ საღამოთაგანი იყო, რომლიდანაც მაყურებელი ნამდვილის სიამოვნებით, და კმაყოფილებით ბრუნდება ხოლმე სახლში. მართული საზოგადოება, როგორც სჩანს, ამ ახალს დროს-გატარებას ეჩვევა: ამ მეორე საღამოზე ბევრათ უფრო მომეტებული ხალხი იყო, ვიდრემ პირველზე, თუმცა ამ საღამოსვე აქაურს მხატვრების საზოგადოებას ძრუქოქში საღამო ჰქონდათ.

□ ამ მოკლე ხანში ქალაქის ქართული სცენის მოყვარენი, როგორც გავიგეთ, წარმოდგენის გამართვას აპირებენ. ამბობენ, „სკაპენის ტულდუტობა“ ან „პეპო“ უნდა წარმოადგინონ.

□ როგორც ამას წინათაც იყო გამოცხადებული, ის წამკითხელები, რომელთაც სალიტერატურო საღამოში მიიღეს მონაწილეობა, მალე შეთანხმებულნი აპირებენ წასვლას და იქაც ამ გვარისავე საღამოს გამართვას.

□ ზემო-იშვრეთიდან გვწერენ, რომ ამ უკანასკნელ წელიწადებში ხალხი დიდი გულ-მხურვალეობით ჰქილდებ ხელს განსაკუთრებით შკოლისა და პურის მალაზიების საქმესა; სურვილი აქვთ აგრეთვე, რომ სასოფლო ბანკები გამართონ. მაგრამ იმათი გულ-მხურვალეობა და სურვილი ცარიელ გულ-მხურვალეობად და სურვილად რჩება, მოთავე კაცები არა ჰყავთ და თვითონ კი ეჭრა გაურბეობით რაო.

□ „მმართველობის მოამბეში“ დაბეჭდილია სახელმწიფო რჩევისაგან მიღებული და ამ წლის 18 თებერვალს უმაღლესად დამტკიცებული კანონი

შესახებ ძველსავე აქეთა მხრისნორ-მალური სასოფლო შკოლების შტატებისა. ამ შტატიდან სჩანს, რომ:

მრ-კლასიანი სასოფლო შკოლის ზედამხედველს (იგივე მასწავლებელია) ექნება წელიწადში ჯამაგირი 450 მან., სამღვთო წერილის მასწავლებელს—150 მან., ბიბლიოთეკისა და სხვა შკოლის საქირო საგნებისათვის—150 მან., სახლის ქირა და კანცელარიის ხარჯი—150 მ. სულ—1,300 მან.

მრ-კლასიანი შკოლის მასწავლებელს ექნება წელიწადში ჯამაგირი—400 მან., სამღვთო წერილის მასწავლებელს—100, ბიბლიოთეკისა და შკოლის საქირო საგნებისათვის—80, სახლის ქირა და კანცელარიის ხარჯი—120 მან., სულ 700 მან.

სადგომი, როგორც შკოლისათვის აგრეთვე ზედამხედველისა და მასწავლებლისათვის, იმ სოფლის საზოგადოებამ უნდა მისცეს; სადაც შკოლა იხსნება. დანარჩენი ხარჯი შკოლებისათვის ადგილობრივ ძველსავე უნდა იქნეს.

„დროშის“ კორესპონდენცია

ზორი, აპრილის 17-ს

აღდგომის კვირის პირველი დღეები ბორში ძალიან შესანიშნავი დღეები იყო. აღდგომა და მეორე დღე, როგორც მოგეხსენებათ, საფიზიკო დღეებია და, რასაკვირველია, ერთი მისილა-მოსვლა, ფაცა-ფუცი და მხიარულება იყო.

მესამე დღეს სამეობა იყო და აქაურ სამების ეკლესიაზედ სომხებსა და ქართველებს შეკრებილება ჰქონდათ; თითქმის ორ საათს წირვების შემდეგ ფუტკარივით ირგვოდა ხალხი ეკლესიის გარშემო მინდორში და ერთი გაცხარებული ბაასი ჰქონდათ სხვა და სხვა სასარგებლო საქმეებზედ.. იქ, ცალკე, ბაზრის ბიჭებს კრივი და ქიდაობა ჰქონდათ. სასაფლაოზედ მკვდრებს ვიზიტი გაუკეთეს და იქაც დიდძალი ხალხი იყო.

ამას გარდა ამავე დღესვე აქაურ წირის ზალაში, საღამოს რვა საათზედ, „შესანიშნავ ახურ მეკონცერტეს, უ. აბგარიანის ჰქონდა საიმღერო და მუზიკალური კონცერტი“.

მორიდე სიტყვა ამ კონცერტზედ: მონაწილენი იყვნენ უ. რ. დუმა, დანდუროვი, სანციევი, ძაც-ცული და რვა წლის (?) შ. დუმა. აქაურები ორშაბათს გააკრეს. უკანასკნელი ადგილის ბილეთი მანეთი იყო, ამისათვის საზოგადოება ბევრი არ დაესწრო; ფული ათ თუმნამდე აღოთ. მე არ გხვდებივართ იქა, მაგრამ, როგორც გავიგე ნამდვილი, საზოგადოთ კონცერტი ძალიან ცუდათ ასრულეს: „ათ თუმნათ წარმომდგომებიც არ ღირდაო“, ამბობდნენ. ბარდა აბგარიანისა და შ. დუმისი, ყველამ საძაგლათ ასრულა თავანთი როლები. თუმცა ტანის კრა იყო, მაგრამ მარა ექნათ! წელიწადში ერთი კონცერტი ეღირსა აქაურ საზოგადოებასა და ისიც გულ-გრილათ უნდა მიეღოთ!

შ. აბგარიანციმ თურმე მშვენიერად დაუკრა და დამღერა თარს სოლო „ჩრგარ ასარ მუხალიფ მანსური“ და სხვ. რვა წლის შ. დუმადაც „მოქიტიკი ჩიტი“ მშვენიერად ასრულა. სხვები კი ღმერთმან შეინახო! შ. სანციევი ისე საძაგლათ ღრიალებდა, რომ არაფის იმისი სიმღერა თურმე არ მოეწონა.

საზოგადოთ, კონცერტი ვერ იყო ისეთი, როგორსაც აფიშიდან მოელოდნენ. მაგრამ არ არის გასაკვირველი..

ზორის პოლიციამ ისეთი ღონისძიება მოიხმარა, რომ ამ დღეებში დარჩა ის ქურდები და ავაზაკები, თითქმის ყველა, რომლებსაგან ბევრი ზიანი იყო ზორის უფლებში და რომლებზედაც ისე ხშირად იწერებოდნენ გაზეთში..

თეოფ. ძანდელაკი
შოთი, 19 აპრილს.

თუმცა შოთში ეხლა ქუჩები უფრო გამშრალია და ჰაერიც წმინდა,

ვიდრე ამ რამდენიმე წლის წინათ, მაგრამ დიდის ნოტიობისა და ელტყებისა გამო ქუჩების თბილობაში წყალი ახლაც ჩადგება ხოლმე ისე, როგორც ყოფილა წინეთ.

მოაწია გაზაფხულმა თუ არა, გაიღვიძა ზამთრით მძინარე ურიცხვ ბაყყებმა და ერთ ხანს მათმა გალობამ არ მოგვასვენა; ეხლა კი მიეჩვიეთ, თითქმის შეგვიყვარდა ა'ე, რომ მათი გალობა, როგორც კარგი სიმღერა, შეერთებული სხვა და სხვა ხმითა, ისეთ ნაირად გვალხენს და გვასვენებს, რომ უთმისოთ ეხლა არ დაგვეძინება..

ამას გარდა, ისეთი დროის გატარება გვაქვს შოთში ამ დიდ-მარხვაში, რომ არ შეგვიწინააღმდეგებია ისე გავატარეთ. მთელი ზამთარი აქ იმდენი ართუანკები გვყავდა, რომ არსად დიდ ქალაქებშიაც არ იბოვება ამოდენი, რაც აქ არიან. შეიკრიბებიან ხოლმე რესტორაციებში ყოველ ნაშუადღევს შეიღს საათზე, შეუღამდის ქალი და კაცი მღერიან და უკრავენ სკრიპკას.

მათ შემოიტანეს საშინელი სწეულება ყმწვილების ჯიბებისა, და თუ ისინი ამ ზაფხულსაც აქ დარჩნენ, მაშინ მღერთმან იცის, რა მოგველის... ართუანკებმაც ნახეს, რომ აქ უფრო ხიერი აქვსთ და თქნასაც არ იცვლიან აქედამ ჯერ-ჯერობით.

თვეში ორჯერაც იმართვის ცირკი; მოვიდა ერთი პარტია ცირკი, ვაატარა ორი კვირა თუ არა, მეორე პარტიაც თან გამოხადებულია და ეხლას იწყებს თავის საქმეს.

ამ ერთის თვის განმავლობაში გემებში და სანდლებში მოსამსახურენი პირნი, თერამეტამდის, შოთის რეიდში ზღვაში დაიხრჩენენ ამ დიდს აედრობაში. რიონში, რაალაც საუბედუროდ, ფილუკა გარდაბრუნებულა და ჩაცვენილა შეიღრ კაცი წყალში, ხუთი ამოუყვანიათ, ხოლო ორი დასძირა წყალმა და ვერ იპოვეს. სამს თათარს გადუბრუნდათ ამას წინათ რიონში ფილუკა, სამივე ჩაცვიდნენ წყალში, ერთი

ბოლოს კიდევ იკითხეს, თუ—რა თვეს შეედრება ქალიო?

— ძალი? ლამაზი ქალი?—მაისია! წამოიძახა აღტაცებაში მოსულმა ბაბუკმა.—იმის სიახლოვეს გული ვარდივით იშლებს! მისი სუნთქვა მისის ნიავზედ უტყვისად ხედება მხურვალე გულს; ენა ბუღბუღივით ჰიკიკობს, სანე მთვარეს მოგვავანებს და თვალეები ვარსკვლავებსა! ღიან, ლამაზი ქალი მისსა ჰგავს! მანიმეორა კიდევ და გაჩუმდა. შკრებმა წაიღეს.

— ძალი? ლამაზი ქალი?—ბგვის-ტოა:—კისერზედ რომ დაგაწვება, დაგატერს, სიცხეს დაგაყენებს და ოფლათაც გაგწურავს,—აი მაშინ კი მიხედები; რომ აგვისტოა ქალი! წარმოსთქვა ვაჟ-კაცმა.

— ძალი? ლამაზი ქალი? ხე! ხე! ხე! ხე! ძალი?—მარტია! მარტის დღეებსავეთ დაუდგრომელი. როგორც მარტში მზე ხან გამოიჭყეტს და ხან

ღრუბელში ეხვევა, ისე ქალიც დღეში ათჯერ ხან გახალისდება და ხან მოიწყენს! მარტია, მარტი დედაკაცი! ჩაილაპარაკა ხრინწიანის ხმით მოხუცმა და გაჩუმდა.

ამ დროს მე იქ სიახლოვეს ვიდგე და მათს ბაასს ყურს უგდებდი. მათმა მსჯელობამ გამაკვირვა, ცნობის-მოყვარეობა აღძრა ჩემში, ვსთქვი: თუ არ შევიტყვე, ვინ არის ამ სამში მართალი, ღმერთმა ნუ ჰქნას—მეთქი. წავედი მაშინვე, მივედი მამა ჩემთან და მოვახსენე:

— მამა ბატონო, თუ თქვენი ნებაც იქნება, ცოლი უნდა შევიერთო! მამამ გაშტერებით შემომხედა და მკითხა:

— რაო? რას ამბობ? ვინ უნდა შევიერთო?
— ცოლი, მამა ჩემო!... ლამაზი ქალი.

— ჰო, მესმის!... ღაღღამია, შეილო, თვალი!

— შენ რომ კი შეგიერთავს დედა ჩემი?

— მე? დედა შენი? ჰმ!... ჰო!... ლამაზი ცოლის შერთვა სიბრყვევა; მართალია ცოლის შერთვა ძვირად ასცდება კაცს სიცოცხლეში: ერთხელაც არის, ადრე თუ გვიან, უნდა შევიერთოს ცოლი. ვინც უცოლო რჩება, ბოლოს ისიც ნანობს..

— მაშ რადგან მაგრვა, მინდა, რომ ახლავე! შევიერთო, მამა ჩემო!

— შენი ნებაა, შეილო, თუ მაინცა და მაინც აღარ იშლი, მაგრამ ფრთხილად კი აირჩიე.

— მე უნდა მდიდარი შევიერთო!

— ღმერთმა დაგფაროს, შეილო! მდიდარმა ცოლმა არ იქნება, რომ ერთხელ მაინც არ წამოგაყვედროს თავისი სიმდიდრე; და მაშინ

ის სიტყვა ეკლის მარცვლივით დაგეცემა გულზედ და მაშინ ფეხ-გადგმული შტოებსაც გამოიღებს. მინდ ტირილით დაგითვისია ეკალი, გინდ სიცილით, ბოლო ერთი ექნება.

— მაშ ღირს შევიერთავე?

— არ გაბრიყვდე! შენახე რომ პატრეს ნახავს, სულ გაგიქდება, თავს ცამდინ აიზევს.

— მაშ ჩემს ტოლს ვითხოვ?

— არ გამოვადგება! იტყვის: უკეთესის ღირსი ვიყავიო.

— მაშ როგორილა შევიერთო? ვინ მოვსძებნო?

— შენ სხვა ღირსებას ნუ ეძებ: შევიერთე ის, რომელმანც შეგიყვაროს.

— ძი, მაგრამ როგორ უნდა შევატყო სიყვარული?

— აი, როგორ; შეილო; მე გამოცდილი ვარ და ყური დამიგდე: ქალმა თუ ტრფიალი დაგიწყო, იცოდე,

მალე ამოიყვანეს და მოაჩინეს, ხოლო ორნი არა სჩანდნენ ასე, რომ ერთი რამდენიმე დღის უკან ნახეს ზუთხის ანკესებში, ზუთხის მაგივრად გაბმულ იყო.

ამბობენ, თუ რომ ამ ადგილბაში ერთი სანდალი ექვისის კაცით სადღაც ზღვაში დაკარგულაო.

ამბობენ, სიძინდი და სხვა საქონელიც ბევრი დაღუპულა ამ ადგილებშია.

სხვა უბედურებასთან რკინის გზაზედაც ხშირად ხდება მარცხი: ამას წინათ ერთს სწყალს გლესს ჰალადიდელს სადღგომოთ ცოლისათვის ცოტა რაღაც უყიდნია და უფიქრებია შინ დაბრუნება რკინის გზით; მაგრამ რადგან ამ დროს პასაჟირის მატარებელი არ იყო, შეშის მატარებელი ევაგონებისთვის დაუცდია, რელსებზედ დამჯდარა, ძილი შემოპარვია და მოძავალს მაშინას თავის ევაგონებით ზედ ამ კაცზედ გარდაუვლია და შუაზე გაუჭრია.

სუჯუნელი ხოშტარია

წერილი რედაქტორთან

შ. რედაქტორ!

საშინელის შიშის თუ სირცხვილის ზარი დასცა წრეწანდელმა „დროების“ ზოგიერთა კორრესპონდენტებმა იმ პირთ, რომელთაც ამ კორრესპონდენტებში თავიანთი თავი იცნეს. შური რომ მიუგდოთ, გაგიოცდებათ ამათი საქციელი თუ რა ნაირ იბღვირებინან. სწორედ გითხრათ საბრალონი არიან პროვინციული კორრესპონდენტები. მგლებით უცქერიან იმათ, თავებს უკანტრუშებენი დალოცვილის - შეილები და ამპარტანულად გაიძახიან: „ასრე გაუხდით საქმეო, რომ თავის სორო ხუთ მანეთად გაუხდეთ! ზერ უჩივლებთ და მერმე ჩვენ ვიცითო!“

ეს დალოცვილის-შეილები საჩივლელად რაზედ ჰხდინან საქმეს? არა სჯობიან ისევ წერით დაუმტკიცონ რომელსამე კორრესპონდენტს მისი

წაწერის სიტყუე, თავზედ სიტყუვისთენ ლაფი დასხან...

მგონი, ასრე სჯობდეს.

ღვეშთები თქვენი გაზეთის წარმატების მოსურნე —ქ—

უცხო ქვეყნები

ბერმანი. დიდი ყაყანი და ბასი შეიქნა მეროპის ქურნალისტიკაში ამას წინათ და ჯერაც არ დაწყნარებულა იმის თაობაზე, რომ პრუსიის მთავრობამ გაუგზავნა ბელგიისას ნოტა, რომელშიაც ბერმანიისაგან დევნილ კათოლიკე სამღვდლოების მიღგომას აქვედრიდა. ბუნეთებმა ეს ნოტა ბელგიის შინაგან საქმეებში გარეგად და ხალხთა-შორის კანონების დარღვევად მიიღეს. ზოგიერთები იქამდინ მივიდნენ, რომ პირდაპირ ამბობდნენ: ბერმანიას პატარა ბელგიასთან ომის ატება და ამ სახელმწიფოს ჩაყლაპვა ჰსურსო. მანსაკუთრებით ინგლისი და საფრანგეთი იმ გარემოებამ შეაშინა კიდევ, რომ ამ საქმეები რუსეთმა და ავსტრიამ ბერმანიის მხარე დაიჭირეს. ბოლოს კი ამოჩნდა, რომ ის ნოტა სრულებით ისე საშიში არ ყოფილა, როგორც ამბობდნენ და ბერმანიას ბელგიისათვის მხოლოდ იმის თაობაზე გამოეცხადებია საყვედური, რომ ჩვენგან დევნილ კათოლიკე სამღვდლოებს, რომელიც სახელმწიფო კანონებს არ ემორჩილებო, თქვენებური თანამოაზრე სამღვდლო პირები ერთობ აშკარათ უწყობენ ხელს და ჩვენს წინააღმდეგობაში ეხმარებიანო.

— პრუსიის შუალთ პალატაში 15 და 16 აპრილს იმ კანონისპროექტზე ყოფილა ფიცხელი მოლაპარაკება და ბასი, რომლის ძალითაც ყველა სამღვდლო პირს, რომელიც სახელმწიფო კანონებს არ ემორჩილება, სახელმწიფო ჯამაგირი უნდა წაერთვასო. ი. ბისმარკის

რომ გაცდენს, და მოერიდვ. იუ გითხრას: მიყვარხარო, იცოდე გატყუებს, და მოშორდი. მაგრამ, თუ იმისთანა ქალს შეხვდე, რომელიც ცხადათ თვალის რიდეზას დაგიწყებს და ჩუმ-ჩუმათ კი ქერეტას, მიუახლოვდი იმას და დაუკვირდი: თუ სახე ვარდის ფრად გაუწითლდეს, ენა დაეზას, გულ-მკერდი აუღელდეს, გულის ძგერა გაიგონო და თვალბეჭში ჯოჯოხეთი და სასუფეველი ორიე ერთად იხატებოდეს, გრწამდეს იმისი სიყვარული, შეილო, და ის შეიულღე.

მომეწონა ეს რჩევა... დავიწყე აქეთ-იქით საცოლოს ძებნა და ბოლოს მივაგენი ისეთს, მამამ რომ მიჩნია. მისმა ნახვამ მიმიზიდა: ენახე მისი გულ-მკერდის ღელვა, გავიგონე გულის ძგერა და დავინახე თვალბეჭში: ერთში სასუფეველი და მეორეში ჯოჯოხეთი. რას ვამბობ?

ენერგიული სიტყუია და მმართველობის აზრის თანხმად, პალატ ს ეს კანონი დაუმტკიცებია.

ქრონიკა

სტატია XIII

სამართლმცოდნეობის საზოგადოებას

ზოგიერთი ახლანდელი საქართველოს ისტორიის მცოდნე პირნი მოაზრობენ, ვითომც მეფე ალექსანდრე I-მა 1442 წელს საქართველო სამამფოდ გაუყო თავის შვილებს. მაგრამ ამ გვარს შემდგარს ჰაზრს მხოლოდ იმისთვის ამბობენ, რომ არ იციან ჩვენი ისტორია და ისტორიული ფაქტები არა აქვთ რიგთანად შეწყველილი.

ისტორიულ ფაქტებს რომ დავაკვირდეთ და გამოვიკვილოთ მიზეზები საქართველოს სამამფოდ გაყოფისა, დაერწმუნდებით, რომ მის სამამფოდ და ხუთ სამთავროდ დაკნინება მოხდა საქართველოს ერის ცხოვრების იმ მიმდინარეობიდან, რომელიც დაიწყო მეფე რუსუდანის სიკვდილის შემდეგ 1243 და 1259 წელს, სარგის მხოველი ჰყელი, დავით სოსლანის მძლავრობისა გამო, გადგა და გახდა დაუმოკიდებელი მთავარი სამცხე-საათაბაგოსი.

არაერთი დამტკიცება არ უნდა იმას, რომ საქართველო ღიზილი მოქმედებია გამო რუსუდანისა გაყოფის საქმეოდ. ამ რუსუდანის მეცადინეობით იმერეთში 1243 წელს დაჯდა მეფედ იმისი შვილი დავით ნარინი; მართლ-ქანეთში კი დაჯდა ამავე წელს იმისი ძმის წული, ლაშა ბიორგის შვილი, დავით სოსლანი. ამის შემდეგ იმერეთს ჰყენდა ცალკე თავისი მეფე, მართლ-ქანეთს თავისი; და ამის მერმე საქართველო ერთთვით-მპყრობელის მეფის მართებლობის ქვეშ არასოდეს ისრე მკვიდრად ვეღარ შეერთდა და შეკავშირდა, რომ მოსპობილ იყო უფლების მოყვარე კაცების გულში სურვილი

ხოლმე. მათს გუნებაზედ ვეღარ ვნახე...

ჰე, მაშინ კი მოხუცის სიტყუა დამიჯდა: სწორეთ რომ მარტივით გამიქინტყულიანდა ჩემი ცოლი! რაღა გამეწყობოდა: ვახსენე ღმერთი, გაყიმაგრე გული და დავემონე ჩემს ბედს. მამობდი, თუ ამაზედ უარესი უბედურება აღარ მოხერხდება-თქო, და თურმე, ნუ ბრძანებთ, აბა ამ დროს ყოფილა ნათქვამი: ღმერთო, უარესისაგან დამიფარეო! უდიდესი კირი მომემატა: ჩემი მარტი როგორღაც გარისხდა, მომამბუქა რისხვა და მომაცენა სუსხი, მიაფორიაქ-მოაფორიაქა ოჯახი, ზოგი იქით გაანია, ზოგი აქეთ, შეიქნა ჩემს ოჯახში ერთი გრგვინვა, ერთი ვაი-უბედურება დამაშინ კი მიეხვდი, რომ ის მოსაუბრები საწინიე სტყუოდნენ! ძალი? ლამაზი ქალი? მცირე ხნობით მაისიც არის, აგვისტოცა და

დაუმოკიდებლობისა. რუსუდანიისა და ლაშა ბიორგის შთამომავლებს დაუტყუებია თა განმავლობაში მტკიცდნენ მტკიცდნენ მეფობისა, იკურთხეს თავი მეფედ და შეიძინეს დაურღვეველი უფლება ცალკ-ცალკე მეფობისა. როგორც იმერეთის ბატონი-შვილები (პრინციები), აგრეთვე მართლ-ქანეთის ბატონი-შვილები დარწმუნებული იყვნენ, რომ იმათ აქეთ დაურღვეველი საღმთო უფლება ერთმა მართლ-ქანეთში იმეფოს, მეორემ ქანეთში; ზაყელებმა კიდე დაუმოკიდებლად იმთავრონ სამცხე-საათაბაგოში.

საქართველოს სამეფოს ამ გვარს ახალს წყობილებას ხალხიც თანაუგრძობდა; მაგრამ ჩვენდა სამაგალითოდ ქართველებს ჰქონდათ ერთმანერთში ერთობა, სიყვარული, მეგობრობა და თავის სურვილს აერთებდენ ერთად, როცა გარეშე მტერი ისურვებდა ქართველთა ერის თავისუფალი ცხოვრების დამხობას და დამორჩილებას.

მაგრამ ეს ერთობა იყო ლენგ-თემურის საქართველოში შემოსევამდე 1387 წელს. იუმცა ამ წლამდინაც ერთხელ კიდევ მოხდა, რომ იმერეთის სამეფო გვარმა დასვა მართლ-ქანეთის ტახტზე იმერეთის ბატონი-შვილი, მეფე მახტანგი მე-II, მაგრამ, ამით ხალხში უთანხმოება და სისხლის ღვრა არ მოხდარა. მსმობხდა 1289 წელს. ამ შემთხვევას ჰქონდა მხოლოდ ის ცუდი შედეგი, რომ იმერეთისა და მართლ-ქანეთის სამეფო გვარეულობის შუა ჩაინერგა უსიყვარულობისა და სიძულვილის ღვარძლი. ამის შემდეგ ამ სამეფო გვარებმა ერთმანერთს ბღვერით დაუწყეს ცქერა, დაუწყეს ერთმანერთს ქაშობა, შუღლობა, გაძევრობა და ძირის თხრა: აქედგან შეჰყვა და შეგებარა სამეფოს აგებოლებას ხრწნილება, და ეს გესლიანი და დამპალი ღვარძლი ბოლოს ისრე გაღვივდა, რომ ნელა-ნელა დაძაბუნა და გაბზარა იმერეთისა და მართლ-ქანეთის ხალხის ერთობა და სიყვარული.

მარტიც; მაგრამ ხან-გრძლივად, სიკვდილამდე დაუმოლოდებლად, კი იანვარი ყოფილა, გინდ ანგარიშით შეგირთავს და გინდ სიყვარულით!

სცდებოდა მამა ჩემი სიყვარულის შესახებ: სიყვარული ვიზიტია... სწორეთ „ბერი ჩამოხტას“ თამაშობს: დღეს რომ ერთს სახლში შეკურნულდება, ხვალ მეორეში მიბრბის. ღიდხანს ერთს ადგილს ვერ მოიცდის, თუ მისთანას არ მიავნო, რომელიც ცარიელი არარის და არარის დატვირთული, მაგალითად, რამე საქმის გაკეთებისა და რომლისამე მიზნამდე მიხწვევის. და ვისაც უნდა, რომ ცოლი შეერთოს, თუ იანვარს ერიდება, მისთანა ქალი მოძებნოს, რომ მუშა იყოს და საქმე უჩინოს, თორემ უამისოთ, გინდა მზეთ-უნახავი მთერაც იყოს, ისიც ჩემის ცოლი თანა გახდება და მაშინ მშვიდობით ამ ქვეყნის ბედნიერება! მშვიდობით!

საკი

განცხადებანი

გამოვიდა „მეზხვის ტაოსანი“ გამოცემული არსენ ძალანდის და ამხანაგებისაგან და ისყიდება მფილისში: შახ-აზიზოვის, მნთაჯიან-ცის და მართანოვის წიგნის მალაზიებში და უ. მფეთიმე ხელადის სტამბაში. მუთაისში: ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში, ი. ლარიონ მიქელაძესთან და სასულიერო სასწავლებელში. მ. ზ. ურგეთში: ანტონ ნაკაშიძესთან.

შასი ყოველგანათი შაური ამას გარდა ამათანავე ისყიდებინა პაწაწინა წიგნები: ბეჟანიანი, ძალ-ვაჟიანი, ალექსიანი, შმინდა მარინეს ცხოვრება და არსენას ლექსი, გამოცემული იმავე პირთაგან. — შასი თითო შაური.

გუზბალტმარსა და კორრესპონდენტმა, რომელსაც კარგი ვაჭრული განათლება მიუღია. ჰსურს აძლიოს გაკვეთილები მრავარი გუზბალტმარისა (двойная бухгалтерия) იტალიურის და ინგლისურის მეტოდით — რუსულს და ნემეცურს ენაზე. ასწავლის ბანკების, კომისიონერის ფაბრიკის და ფინანსის ბუხგალტერიას. შეუძლია აღგილიც დაიკიროს სადმე. შურა დაწერილებით ცნობების შეტყობა ამ საგანზე შეიძლება საკერავე მაშინების პანცერის მალაზიაში, ატამანის ქუჩაზე, ზუბალოვის სახლებში; დილის 10 საათიდან ვიდრე 12-მდე.

ქუჩიაში, ნიკოლაევის ქუჩაზე, ისყიდება 236 ოთხ-კუთხი საჟინი მიწა, რომელიც ჩინოენიკის ცოლს ეკუთვნის. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ უფროს პოლიციმეისტრის კანცელარიის ქვეშ, ნოტარიუსის ჩიულოვის გვერდით, მიხაილ მელიქიშვილის მალაზიაში.

ამ გვარის მიზნისა გამო მშენებრად დანატყვებული ქართველთა ერის ცხოვრება ახლა დაძაბუნდა, დროს და დროს განმავლობაში, მაგრამ იყვნენ ქართველებში კიდევ იმისთანა მამულის მოყვარე პირნი, რომ ეს ესრეთი უთანხმოება გულს უწყლავდათ და ამისა გამო მშენებრად ეწეოდნენ ერის შეერთებას და ამ ორ სამეფო გვართაგან ერთის მოკვეთა და მეორის გამეფება საქართველოზე. ამ გვარი ბრწყინვალე სურვილითა და ჰაზრით შეზავებულნი პირნი ბევრნი იყვნენ 1318 წელს და ამისათვის 1330 წელს საქართველო ერთხელ კიდევ შეერთდა ბიორგი ბრწყინვალის თვით-მპყრობელობის ხელ ქვეშ.

მაგრამ საქართველოს საუბედუროდ ხანგრძლივი არ იყო ეს ერთობა. ამის მოშლის მიზნად შეიქმნა ლეთის რისხვა კაცი თემურ-ლენგი. 1387 წელს იმან საქართველო შეიღვერა ააოხრა, მიღევ-მოღევწა საქართველოს ციხე-სიმაგრეები, ეკკლესიები, დაარღვია ხალხის ერთობა, მოინდომა ქართველების გამაჰმადიანება, მაგრამ ქართველთა ერის სიმძლავრემ, მხნეობამ და თავისუფლების სიყვარულმა უქმი ჰყო იმისი წადილი: ისე მოკვდა, რომ ის თავის გაწბილებულს სურვილს ვერ მისწვდა.

გრამ ამ ლეთის რისხვა კაცმა სხვა ენება შეჰძინა საქართველოს. ამისმა მძლავრობამ სამეფო საქმეები აურიც-დაურიცა და საქართველოს მეფის უფლება და ავტორიტეტი დაამხო. ამით ისარგებლეს იპერეთის ბატონიშვილებმა და მოინდომეს ხელმეორედ იპერეთში გამეფება. ამისაგან იპერეთსა და ქართლს ხეთში იყო ბრძოლა, მაგრამ 1462 წელს იპერეთის ერისთვის დიმიტრის შეილმა ბაგრატიმა თავის გამეფებისათვის დიდიანს, გურიელს, შარვაშიძეს და სვანეთის მრისთავს შეეკრა პირობით, რომ თუ შემწობას მომცემთ და იპერეთში გამამეფებთ, მე თქვენ განგათავისუფლებთ და გიმსახურებთ მხოლოდ ჯარით. ისინი დათანხმდნენ და 1462 წელს იპერეთში ბა-

გრატი გამეფეს და თვითონაც დაუმოკიდებლნი მთაერები ვახდნენ. ამ გვარად წარმოსდგა იპერეთში ერთი სამეფო და ოთხი დაუმოკიდებელი სამთავრო. ამ მთაერებს მეფეზე ისრეთი დამოკიდებულება ჰქონდათ, როგორც ჰქონდათ საშუალო საუკუნოებში მეროპის ვასალებსა და ფეოდალებს.

ინგილო ჯანაშვილი (დასასრული ამ სტატიისა შემდეგში)

ნარკვი

საფრანგეთისა და ინგლისის მმართველობას გადაუწყვეტიათ ლამანის არხის ქვეშ, მიწაში, ტონელისა და ტონელში რკინის გზის გაყვანა. მრთავე მმართველობას ოთხი კაცი ამოურჩევიათ, ორი საფრანგეთის მხრით და ორიც ინგლისისა, ამნაირად შეუდგენათ კამისია, რომელმაც მუშაობას უნდა ადევნოს თვალყური.

შარშანდელი წლის გამოანგარიშებით, ლონდონში 3,400, 701 მცხოვრებელი; ამ რიცხვში 1,591,692 კაცი და 1,809,009 ქალი; მამასადამე ქალი თითქმის ორასი ათასით უფრო მომეტებულია ვიდრე კაცი.

როშოორის, ბსკალ ბრუსესი და პენის მაგალითი მიუბაძავად არ დარჩა: ახლა იწყებინა გახუთებში, რომ ამ მოკლე ხანში კიდევ რამდენიმე პოლიტიკური დამნაშავე გამოქცეულა ახალი ძალედონიადამ, სადაც პარიტის ქომმუნაში მონაწილეობის მიმღებნი არიან გაგზავნილნი.

ამას წინათ ერთი ახირებული ამბავი მოხდა ქალაქში: ერთ კაცს თავის მზარეული დაუთხოვნია; ამაზე ცოლი შემოსწყრომია; როგორ თუ შენ გახდებო მისი დათხოვნა; დაუკრამს ფეხი და თითონაც წასულა. მანამ საცლადვი ქმარი მუხლებში არ ხეარდნია მზარეულს, და უკანვე არ შეუყვანია, ცოლიც არ დაბრუნებულა.

სამი თვის ანგარიში ოქმისის გამსახსებელ-შემნახველი ამხანაგობისა

1-ს იანვრიდან 1-ს აპრილამდის 1875 წელსა.
1-ს იანვარს 1875 წ. ანგარიში იყო: წვერებად ირიცხებოდნენ . . . 288 კაცი
1) საწილო ფული . . . 1582 მ. 60 კ.

2) სასარგებლოდ შემოტანილი 40 „ —
3) სესხები
ა) პირველ დაწყებითი 1500 „ —
ბ) შემდგომ აღებული 2110 „ —
4) სათადარიგო თანხა . . . 3 „ 3 კ.
5) წმინდა მოგება . . . 27 „ 30 1/2 კ.
ჯამი . . . 5265 მ. 43 1/2 კ.

1) მასხმებული ახალი ვადა მიუცემელი . 4685 „ —
2) ტფილისის საზოგადოებაში საურთიერთო ნდობისა . . 155 „ 30
3) ქასსაში ნაღდი ფული 392 „ 30
ჯამი . . . 5232 მ. 60 კ.

1-ს იანვრიდან 1-ს აპრილამდის მომხდარა შემდეგი ვაჭრობა:

წვერებად ირიცხებინა. 352 კაცი *)
ა) შემოსავალი
1) საწილო ფული შემოვიდა 1174 მ. 60 კ.
2) სარგებელი დაქერილი გასესხების დროს ახალი ვადა მიუცემელისა 176 მ. 44 კ.
3) სარგებელი დაქერილი გასესხების დროს ახალი ვადა მიცემულისა 7 მ. 20 კ.
4) სესხი შემოვიდა ახალი ვადა მიუცემელი 1895 მ. —
5) ჯარიმა აღებული . . . 3 მ. 75 კ.
6) ამხანაგობამ აიღო ვალი ტფილისის საბანკო დაწესებათაგან და კერძო პირისაგან 2500 მ. —
ჯამი . . . 5756 მ. 99 კ.

ბ) გასავალი
1) მასხმდა 2934 მ. —
2) სარგებელი დაუბრუნდა ვადაზედ წინ გადახდილი ნასესხებისა. 2 მ. 25 კ.
3) მალედი ვადინადა ამხანაგობამ 2500 მ. —
4) სარგებელი მიცემული ამხანაგობისაგან ნასესხებზედ 71 მ. 77 კ.
5) სამმართველოს ხარჯი 89 მ. 54 1/2 კ.
ჯამი . . . 5597 მ. 56 1/2 კ.

ქასსაში არის ნაღდი ფულათ. 159 მ. 42 1/2 კ.

მრთიანი ჯამი . . . 5756 მ. 99 კ.

სამმართ. გამგენი მ. ჰადაგოვი მ. ოსაუოვი
*) ამ რიცხვიდან გამოირიცხნენ 5 წევრი, ვადაზედ ვალის გადახდულობისათვის.

რბ. მზა.	ლოლა.	საღამ.	II კ.	III კ.	საბუღალტრო	ფოტო	ბირჟა	მან. კაპ	მაზანდა	მან. კაპ
თფილისი	118	8			ა) ფოთიდან:	ა) მფილისიდან:	პეტერბურგი, 17 აპრილს.		თფილისი, 20 აპრილს.	
მცხეთა . . .	1818	10	68	38	მღესისკენ — ორშაბ. დილის 8 საათ.	სამზღვარ გარეთ, მუთაისს, რუსეთს	ერთი მანეთი ღირს:		პური შორაგალის ფთ.	120
ბორი . . .	9139	143	240	123	სტამბოლს — კვირაობით დილას.	— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ.	ლონდონში 33 პენსი.	84	მერი ფუთი	60
სურამი . . .	152	430	392	218	ბ) სოხუმიდან:	ოთხშ., მსურგეთს — პარასკ და	პარიჟში 349 სანტიმი.	89	ბაბა მრევისა, ფუთი . . .	460
ბეჟათუბანი	345		442	246	ფოთს — სამშაბ. თს, ღამით.	ორშაბ. ბაქს — ორშ. სამშაფ. და	სკოტონი (სარგებლისფასი)	6	— ამერიკისა, ფუთი . . .	665
შვირილა . .	649		581	323	მღესს — კვირას. გაუთენებისა.	შაბ. ქახეთს — სამშ. და შაბ.	ბანკის ბილეტი 5%	9875	ბაქონტილი ბაბა ფთ.	8
მუთაისი . . .	755		675	375	ფოთიდან: I II III	მფილისისა და ფოთისკენ — ყო.	მოგებიანი (პირველისესხი)	19825	მატული თუშური ფთ.	6
სამტრედია . .	9	2	773	429	სოხუმიდან . . . 4 „ 3 „ 1 „	ველ დღე, კვირას გარდა. მსურ-	მოგებიანი (მეორე სესხი)	19350	— მარაქამისა ფთ. . .	450
ახ.-სენაკი . .	10		857	476	ქერჩამდი . . . 20 50 15 50 5 „	გეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდის	ბოროლს ფურცლები:		პბრეშუმი ნუხური გრ.	260
ფოთი	11		975	542	ტაგანროგ. 34 „ 27 „ 860	— ოთხშაბ.	თფილ. სააზნ. ბანკისა.		ჭონი, ფუთი	440
ფოთი	738				მღესსამდი. 38 „ 30 „ 960	გ) ბოროლადამ.	ხერსონის ბანკის (5 1/2)	8725	ჭონის სანთელი ფუთი.	560
ახ.-სენაკი . .	911		118	66	ტელეგრაფი მ. კაპ	შოველგან ყოველ დღე, კვირას	მოსკოვის (5%)	8650	სტეარინის სანთელი, ფ.	1020
სამტრედია . .	1012		261	114	მცი სიტყვა მფილისიდან:	გარდა.	აქციები:		ხორცი ძროხისა, ლიტ.	60
მუთაისი . . .	1117		341	169	მუთაისს, ფოთს 1	დ) ფოთიდან:	მღესის სავაჭრო ბანკის.	223	— ცხრისა, ლიტრა . . .	70
შვირილი . . .	1238		398	221	ბორს, ღუშეთს, სიღნახს	შოველგან — ყოველ დღე, კვი-	ფოთი-მფილ. რკინ. გზის	133	სპირტი, ვედრო	7
ბეჟათუბანი	327	ღამე	533	296	როსტოვს მღესას მოსკოვს	რას გარდა.	შავიზღვის ტეცხ. გემების	560	შაქარი, კარგი ფუთი . .	850
სურამი	457	1230	584	324	პეტერბურგს, მარშაფას . . . 2	წიგნის გაგზავნა რუსეთში:	აქავისა და მეკურის . . .	168	— ფხვნილი ფუთი . . .	690
ბორი	723	331	736	49	მსპალეთში, შვეიცარიაში	ლია წიგნის 5	პირე. საზღვევ. საზოგ.	665	შავა გრვავალი ფუთი . .	19
მცხეთა	952		985	4	იტალიაში და საფრანგეთში.	დაპეტდილის (სამი მისხალი) . 10	პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	649
თფილისი . . .	1049	8	2975	542	ინგლისში 375		მოსკოვის საზღვევ. საზ.	25765	მქობ 1/2 იმპერიალი . . .	580